

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 14

ქ. თბილისი

28.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

- ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
- ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
- ლევან გორდუზიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;
- თეო ურუშაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
- სოფიკო ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
- გიორგი ქვარცხავა** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- გელა გელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელემენტარ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
- დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;
- ირინე გოცირიძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
- პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
- გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
- ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

- მაია გელაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
- ნინო გაგელიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

ლევან ჯაყელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მედეა ქავთარაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

ანზორ მახაძე - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლუიზა სიხარულიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

ზაზა შუბლაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით სიხარულიძე;

ვასილ კიკუტაძე;

რუსუდან სეთურიძე;

ანა გვრიტიშვილი;

მანანა მოისწრაფიშვილი ;

გიორგი ჯაფარიძე;

მარიკა გარსევანიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:32 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ლოჯისტიკა და ექსპედიციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საპორტო ოპერაციების მართვის სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მაგისტრი 020307
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაციის თანახმად, აუცილებელი იყო მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები, რათა მომხდარიყო დასახული მიზნის მიღწევა. არსებული მდგომარეობის მიხედვით, ყველა სილაბუსში ასახული იყო ერთი და იგივე სწავლის მეთოდები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისობაში არ მოდიოდა სწავლის შედეგებთან და გავლენას ახდენდა კომპეტენციაზე. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებს. კერძოდ, საერთაშორისო მენეჯმენტი 1 და საერთაშორისო მენეჯმენტი 2, საჭიროებდა სწავლის შედეგების დახვეწასა და შესაბამისობაში მოყვანას კურსის შინაარსთან და შედეგთან მიმართებით. შემდეგ რეკომენდაციას წარმოადგენდა დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური ჩართვა პროგრამის დაგეგვისა და განხორციელების პროცესში. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მხარეები პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებაში ჩართულნი არ იყვნენ. რეკომენდირებული იყო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობად განსაზღვრული ყოფილიყო სავალდებულო და არჩევითი საგნების კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მომენტისათვის 120 კრედიტის შესაგროვებლად. აგრეთვე რეკომენდირებული იყო შეფასების სისტემა

მორგებული ყოფილიყო კონკრეტული კურსებით განსაზღვრული სპეციფიკისათვის, ვინაიდან გამოკვეთილ იქნა, რომ მიმდინარე პერიოდში გამოიყენებოდა თითქმის იდენტური შეფასების სისტემის გამოყენება ყველა კურსისათვის. ამასთანავე, შეფასების მეტი გამჭვირვალობისათვის უმჯობესი იქნებოდა ქულების რანჟირების მეთოდის დანერგვა. ასევე საჭირო იყო ზოგიერთ სილაბუსში განახლებულიყო ლიტერატურა და სწორად ყოფილიყო მითითებული იმ კურსებზე, სადაც გამოიყენებოდა უცხოენოვანი ლიტერატურა, ვინაიდან სილაბუსებში ასახული იყო ქართულენოვანი ლიტერატურა. რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსს - საერთაშორისო პროექტის მართვას - დამატებოდა "ემ სი პროჯექტის" შესწავლაც პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების მიზნით, რისი საჭიროებაც გასაუბრების შედეგად იქნა გამოკვეთილი.

ექსპერტმა აგრეთვე ჩამოთვალა რჩევები, რომლებიც მისი შეხედულებით სასარგებლო იქნებოდა პროგრამის განვითარებისათვის. რჩევას წარმოადგენდა პროგრამისათვის ისეთი დისციპლინების დამატება როგორც იყო კულტურათაშორისი მენეჯმენტი, გლობალური მიწოდების ჯაჭვი, გლობალური ბაზრების შეფასება და სხვა. ასევე სასურველი იყო გააქტიურებული და ბაზარზე დანერგილი ყოფილიყო დასაქმებისა და სტუდენტთა კონკურენტუნარიანობის ზრდის მექანიზმები. რჩევას წარმოადგენდა მიღების წინაპირობაში დაკონკრეტებულიყო B2 დონის რომელ საერთაშორისო სერტიფიკატს უღიარებდნენ აპლიკანტს და ამასთანავე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გააქტიურებულიყო სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესში, მათი მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და სხვა. რჩევა გახლდათ პროგრამის ბიუჯეტში პუნქტობრივად დაზუსტებულიყო დანახარჯების ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ჯაყელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა გადიოდა რეაქრედიტაციას, ავტორიზაციის პარალელურ რეჟიმში. მან აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების და რჩევების ნაწილი უკვე იყო გათვალისწინებული. წარმომადგენელმა, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა იმ ცვლილებებზე, რომლებიც ექსპერტთა რეკომენდაციების შედეგად განხორციელდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ესაუბრა ძირითად რეკომენდაციებზე, როგორც იყო, მაგალითად: მიზნებისა და შედეგების შეუთავსებლობის ირგვლივ არსებული შენიშვნები. ვინაიდან შესაძლებელი იყო გამოკვეთილიყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც პროგრამაზე დადებითად არ აისახებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსების - მენეჯმენტი 1 და მენეჯმენტი 2- ის შინაარსის და შედეგების შეუსაბამობასთან დაკავშირებული შენიშვნა გამოწვეული იყო კურსის პროფესორის შეცდომით, როდესაც მან კოპირების მეთოდით გადაიტანა მენეჯმენტი 1-ს შედეგები მეორე საგნის შედეგებში. მას დაავიწყდა შედეგების თავიდან განსაზღვრა მეორე საგნისათვის, თუმცა აღნიშნული შეცდომა მოგვიანებით გამოსწორებულ იქნა. წარმომადგენლის თქმით ეს არ წარმოადგენდა სისტემურ შეცდომას. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ დამატებულიყო დისციპლინები, აღსანიშნავი იყო, რომ შეთავაზებულ თემატიკას უმეტესწილად ფარავდა სხვადასხვა არსებული საგნები, თუმცა ისინი მაინც ეთანხმებოდნენ ექსპერტებს, რის შედეგადაც შესაძლებლად მიიჩნევდნენ ახალი კურსების დამატებას, როგორც იქნებოდა მაგალითისათვის კულტურის მენეჯმენტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებას შესაძლოა ვერ აესახა რეალობა დამსაქმებელთა და სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით პროგრამის

განვითარებაში. მან განაცხადა, რომ დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებდა დოკუმენტაცია რომელიც მათ ჰქონდათ მოტანილი თან და შეეძლოთ წარედგინათ საბჭოს წევრებისათვის. ამასთანავე, აღსანიშნავი იყო რომ დამსაქმებლები ნაკლებად ინტერესდებოდნენ შინაარსობრივი საკითხით. არსებობდა გამოკითხვის სპეციალურად შემუშავებული ელექტრონული სისტემა რათა მოეხდინათ დამსაქმებლების გამოკითხვა, ისე რომ მათთვის ეს პროცესი მეტნაკლებად კომფორტული გამხდარიყო.

თავმჯდომარე დაინტერესდა შეიმუშავებდა თუ არა დაწესებულება სტატისტიკას და შეეძლოთ თუ არა ეთქვათ კურსდამთავრებულთა დაახლოებით რა ნაწილი იყო დასაქმებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პერიოდულად ხდებოდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და მათი დაახლოებით 40 % დასაქმებული იყო. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ექსპერტმაც.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა თუ რომელ სფეროში საქმდებოდნენ კურსდამთავრებულები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ძირითადად სამდებოდნენ მომიჯნავე სფეროებში. მაგალითად: საბაჯაო სფეროში ან გადამზიდავ კომპანიებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ შეუსაბამობას ჰქონდა ადგილი, რა პროგრამითაც, კურიკულუმით ხდებოდა დარგის სწავლება და იმ ცოდნის საჭიროებას შორის სადაც ძირითადად საქმდებოდნენ კურსდამთავრებულები. აღნიშნულ შემთხვევაში მიღებული ცოდნის გამოყენების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დასაქმების სფეროებთან არსებული საკითხის ირგვლივ რადიკალურ აცდენას არ ჰქონდა ადგილი და აღნიშნული ნაწილი შეფასებული იქნა ნაწილობრივი შესაბამისობის თვალსაზრისით.

წარმომადგენელმა განცხადება გააკეთა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პირდაპირ თუ ირიბად ყველა აუცილებელი კურსის გავლა მოიაზრებოდა ნაშრომის დაცვის წინაპირობად.

ექსპერტმა განახადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობის შესახებ არსებული რეკომენდაცია ემსახურებოდა თეორიული შანსის გამორიცხვას, რომ მეოთხე შემესტრამდე სტუდენტი მივიდოდა ისე, რომ მას საჭირო საგნები გავლილი არ ექნებოდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა აკადემიური წერა.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისწავლებოდა, ისევე როგორც კვლევის მეთოდები და ორივე წარმომადგენელმა სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობას.

საბჭოს წევრი, სოფიკო ლობჯანიძე დაინტერესდა, რით იყო განპირობებული კვლევის მეთოდებში ორი სილაბუსის არსებობა.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ საგანს ორი პროფესორი ასწავლიდა, თუმცა შინაარსი ერთი და იგივე იყო.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები არ იყო შესაბამისობაში და ბალანსში სწავლის შედეგებთან და აღნიშნული ხარვეზი დაუყოვნებლივ საჭიროებდა გამოსწორებას.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ რამოდენიმე კურსში, მაგალითისათვის ინოვაციების მენეჯმენტში, გაწერილი იყო ლექცია და ჯგუფური მუშაობა, თუმცა არ კონკრეტდებოდა რას გულისხმობდა ჯგუფური მუშაობა, ხდებოდა მისი პრაქტიკული სამუშაოების სახით ჩატარება თუ სხვა მეთოდით. სილაბუსებით იქმნებოდა განცდა, რომ მათზე მუშაობას არ ეთმობოდა შესაბამისი დრო. ამასთანავე ნათლად ჩანდა, რომ

არაერთ კურსზე ერთი და იგივე ლიტერატურა გამოიყენებოდა. მითითებულ ონლაინ რესურსებზე კი წვდომა ლიმიტირებული იყო. ირინე გოცირიძე დაინტერესდა, როგორ ხდებოდა ონლაინ რესურსებზე წვდომის საკითხის რეგულირება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმდენად რამდენადაც რესურსები შეძენილი ჰქონდათ, სტუდენტებს მათზე წვდომის პრობლემა არ ექმნებოდათ. მოცემულ შემთხვევაში სავარაუდო იყო, რომ გაუგებრობა გამოწვეული იყო განსხვავებული ბაზის გამოყენებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ კურიკულუმის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდებოდა პროგრამა აგებული იყო თეორიულ სწავლებაზე და მოკლებული იყო პრაქტიკულ ნაწილს, საკითხებს. შესაძლოა პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნები კარგი ყოფილიყო ზოგადი განათლებისათვის, თუმცა არ არსებობდა იმის წინაპირობა და გარანტია რომ კურსკულუმში მოცემული საგნები პრაქტიკულ, პროფესიულ საქმიანობაშიც გამოსადეგი იქნებოდა კურსდამთავრებულებისათვის მათი დასაქმების არეალის გათვალისწინებით. ხარვეზი იყო ისიც, რომ სწავლება ხდებოდა უმეტესად ქართული ლიტერატურის გამოყენებით, საჭირო იყო პროგრამის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის გლობალურ ჭრილში დანახვა და შესაბამისად სწავლების პროცესის გამდიდრება უცხოური ლიტერატურითაც. საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის საჭირო იყო შესაბამისი სწავლება, მორგებული ბაზრის მოთხოვნებზე. ისეთი საკითხებზე ყურადღების გათვალისწინება როგორც იყო აკრედიტივები, ინკოტერმსი, ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო არბიტრაჟი და ა.შ. პროგრამის კურიკულუმი რეალურად საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სწავლებაზე უნდა იყოს აგებული და არა უბრალოდ საერთაშორისო ბიზნესი ეს ორი სიტყვა ყოფილიყო ჩამატებული სხვადსხვა სილაბუსში. მაგალითად საგანი - საერთაშორისო პროექტების მართვა - განსხვავებულ ცოდნას არ იძლეოდა იმ თვალსაზრისით, რომ თუკი მაგალითისათვის შეიცვლებოდა სახელწოდება და დაერქმეოდა - პროექტების მართვა- არავითარი სხვაობა ამ ორ საგანს შორის არ იარსებებდა. პროგრამა საერთოდ არ შეიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორც იყო მაგალითისათვის საბანკო ოპერაციები და ფინანსები, საერთაშორისო კონტრაქტები და სხვა. ისწავლებოდა ისეთი საფინანსო ინსტრუმენტები როგორც იყო ოპციონები, თუმცა გაურკვეველი იყო მოხერხდებოდა თუ არა მათი სწავლა ერთ საათში, განსაკუთრებით მაშინ თუ პროგრამაზე მოსულ სტუდენტს საბაზისო განათლება არ ექნებოდა. მისი განცხადებით, პროგრამა არ ითვალისწინებდა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისთვის საჭირო ნიუანსებს, რაც განაპირობებდა იმას რომ რეალურად ის ბოლომდე არც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პროგრამას წარმოადგენდა და არც საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის.

თავმჯდომარემ, სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ რა იგულისმებოდა მეხუთე რეკომენდაციაში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, მოცემულ რეკომენდაციაში იგულისხმებოდა, რომ სტუდენტს, სამაგისტრო ნაშრომის არჩევის დროისათვის სავალდებულო დისციპლინის საგნები აუცილებლად გავლილი უნდა ჰქონოდა. რეკომენდაცია შეეხებოდა იმას, რომ სტუდენტს არ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა დისციპლინის 3 ან 4 სავალდებულო საგანი გაეარა სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად. დასაშვები უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა, მიღების წინაპირობაში არსებობდა თუ არა ვალდებულება, რომ აპლიკანტს საბაკალავრო განათლება ჰქონოდა ბიზნესის მიმართულებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი ვალდებულება არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, განაცხადა, რომ როდესაც ისწავლებოდა კვლევის მეთოდოლოგია, საჭირო იყო სტუდენტებისათვის სტატისტიკური ცოდნის მიცემა, რადგან თუ ყურადღება გამახვილდებოდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებზე, სტატისტიკის გარეშე შედეგების ანალიზი ფაქტობრივად შეუძლებელი გახდებოდა.

წარმომადგენელი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრს.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა ის, რომ ლიტერატურა ძირითადად იყო რუსულენოვანი, ხომ არ იყო ეს გამოწვეული სტუდენტების საჭიროებით.

წარმომადგენელმა და ექსპერტმა განაცხადეს, რომ სტუდენტებმა იცოდნენ რუსული, რაც ნაწილობრივ აღნიშნულ მოცემულობას განაპირობებდა. თუმცა აქცენტი უკვე კეთდებოდა ინგლისურენოვან ლიტერატურაზე და უკვე შეძენილი იყო სახელმძღვანელოები.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ სტრატეგიულ მენეჯმენტში იყო რიდერი, ხოლო დამატებით ლიტერატურაში ტომსონის და სტრიკლენდის სახელმძღვანელო, რომელიც იყო თარგმნილი. უნივერსიტეტის მხრიდან საჭირო იყო ყურადღება მიქცეოდა ლიტერატურის საკითხს და თუკი შესაძლებლობა იყო გამოეყენებინათ უკვე არსებული, თარგმნილი რესურსები.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თებერვლიდან სტუდენტებს სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული, რაც აღდგებოდა თუ პროგრამა გაივლიდა აკრედიტაციას. პროგრამაზე ჯამში 27 სტუდენტი ირიცხებოდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ საერთაშორისო პროექტების მართვაში ლიტერატურის სახით მითითებული იყო რიდერი ხოლო დამატებით ლიტერატურად კვლავ რუსულენოვანი წიგნები. აღნიშნული საგნისათვის არსებობდა ჰერალდ კეზნერის სახელმძღვანელო, რომელიც ინგლისურენოვანი იყო, თუმცა თუ სტუდენტები ვერ შეძლებდნენ სწავლას ენის ბარიერის გამო, ასევე არსებობდა მისი "გაიდი" ქართულ ენაზე, რომელიც სტუდენტებს ძირითად მიმართულებებს მისცემდა. ამასთანავე, სიტყვა საერთაშორისო პროგრამას ვალდებულებას სძენდა ინგლისურენოვანი კონცენტრაციისა, რაც გამყარებული უნდა ყოფილიყო ხარისხიანი, ინგლისურენოვანი ლიტერატურით და ამის რეგულირება პროგრამას მხოლოდ წაადგებოდა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა რუსული ენის დაკნინების თუ მოერე ხარისხიდან წარმოჩენის მცდელობას. პოზიცია გამომდინარეობდა თანამედროვეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას უკვე შეძენილი ჰქონდა ინგლისურენოვანი ლიტერატურა, შემდეგი მნიშვნელობის თვალსაზრისით მოდიოდა ქართული და ბოლოს რუსულენოვანი სახელმძღვანელოები. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ინგლისურენოვანი ცოდნის გარეშე დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა არ იყო.

თავმჯდომარე, დაინტერესდა გაეცნენ თუ არა ექსპერტები სამაგისტრო ნაშრომებს და თუ შეეძლოთ შეეფასებინათ მათი დონე.

ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ვიზიტის ფარგლებში ნახეს 5-6 სამაგისტრო ნაშრომი და ისინი შესრულებული იყო ინსტრუქციის მიხედვით. მათ არ შეეძლოთ ეთქვათ რამდენად აკმაყოფილებდა ისინი საერთაშორისო სტანდარტს, რადგან ამისათვის ნაშრომების სიღრმისეული გაცნობა იყო საჭირო.

თავმჯდომარე დაინტერესდა, დაახლოებით როგორი მოსწრების სტუდენტები სწავლობდნენ პროგრამაზე და ამთავრებდნენ თუ არა ისინი პროგრამას წარმატებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაგრამას ვერ ამთავრებდა მხოლოდ მცირე ნაწილი, მოსწრება კი საშუალო, დამაკმაყოფილებელი იყო.

ექპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სპეციფიკა იკვეთებოდა მის დისციპლინირებულობაში, რასაც სტუდენტებიც აღნიშნავდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 9 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო განხილულ საკითხთან დაკავშირებული საბჭოს რეკომენდაციები:

1. კურიკულუმის გამდიდრება პრაქტიკული საკითხებით;
2. სწავლების განხორციელება თანამედროვე უცხოური სახელმძღვანელოებით, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით, საერთაშორისო ბიზნესში ინგლისური ენის მნიშვნელობის გათვალისწინებით;
3. კურიკულუმში ისეთი საკითხების შეტანა, როგორც არის: საბანკო ოპერაციები საერთაშორისო ბიზნესში, რისკების მართვა საერთაშორისო ბიზნესში (მაგ:აკრედიტივები, სავალუტო ოპერაციები და რისკები და ა.შ), ხელშეკრულებები საერთაშორისო ბიზნესში (ინვოლტერმსი, არბიტრაჟი, ზარალის ანაზღაურება, ფორსმაჟორი და ა.შ), ინფორმაციული ტექნოლოგიები საერთაშორისო ბიზნესში და ა.შ..

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ლოჯისტიკა და ექსპედიციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლოჯისტიკა და ექსპედიცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ლოჯისტიკა და ექსპედიციების მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	020316
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს მოახსენეს, რომ ლოჯისტიკა და ექსპედიციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ირგვლივ არსებობდა იგივე რეკომენდაციები, რაც უკვე განხილულ, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ირგვლივ.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, რატომ მოხდა რეკომენდაციების სარკისებური ასახვა ორ განსხვავებულ პროგრამაზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო პრობლემების სისტემური ხასიათით. მაგალითისათვის ნაკლებად გამართული შეფასების სისტემა არ იყო მხოლოდ ერთი პროგრამის პრობლემა, არამედ ვრცელდებოდა მოცემულ პროგრამაზეც. შინაარსობრივი სხვაობა ასახულ იქნა რეკომენდაციებში, რომლებიც გარკვეული საგნების ჩამატებას ეხებოდა პროგრამაში, თუმცა ზოგადი სურათი მსგავსი იყო, რადგან სისტემური კომპონენტი უცვლელი რჩებოდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ იყო საჭირო საგნების დამატება, იმიტომ ხომ არა რომ მეორდებოდა სხვა პროგრამის საგნები.

ექსპერტმა უპასუხა, რომ საგნების დამატება საჭირო იყო ლოჯისტიკის მიმართულების გასაძლიერებლად.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, თუ მაგალითისათვის, სხვაობა 120 კრედიტიდან ასახული იქნებოდა მხოლოდ 20 კრედიტში, შეძლებდა თუ არა პროგრამა ორ სხვადასხვა კვალიფიკაციაზე გასვლას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს იყო ბიზნესის ადმინისტრირება, რომელიც ერთ შემთხვევაში კონცენტრირებას ახდენდა ლოჯისტიკაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში საერთაშორისო ბიზნესზე. საგნების დამატება სწორედ იმიტომ იყო საჭირო, რომ გაძლიერებულიყო ლოჯისტიკის განხრა და შესაძლებელი ყოფილიყო ხარისხის მინიჭება - ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ლოჯისტიკაში.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რთული იქნებოდა საუბარი პროგრამაზე, რადგან უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელი სხდომას არ ეწრებოდა, თუმცა შეეცდებოდნენ განმარტებების გაკეთებას. მან განაცხადა, რომ აღარ გაამახვილებდა ყურადღებას იმ საკითხებზე, რაც უკვე განხილულ, საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ითქვა და ამ შემთხვევაშიც მეორდებოდა. მოცემულ პროგრამაზე შენიშვნა არსებობდა კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით. ამჟამად უკვე არსებობდა ჩანაწერი, რომელიც აკონკრეტებდა კრედიტთა ოდენობას კურსებზე და განსაზღვრავდა, რომ არ შეიძლებოდა კურსი ყოფილიყო 2 კრედიტზე ნაკლები და 10 კრედიტზე მეტი, ხოლო ყოფილი 5 კრედიტიანი სისტემა აღარ გამოიყენებოდა. მან განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა მოსაზრებას საგნების დამატებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა რომ შეთავაზებული საგნების თემატიკა ნაწილობრივ იფარებოდა უკვე არსებული საგნებით, თუმცა ექსპერტთა მითითება საყურადღებო იყო იმდენად, რამდენადაც ახალი საგნები პროგრამას გააძლიერებდა. მაგალითისთვის ექსპერტების მიერ შეთავაზებული საგანი, “ლოჯისტიკური ჯაჭვის მართვა”, დამატებით ახალი ცოდნის მატარებელი იყო საკუთარ თავში, ამიტომაც დაწესებულების წარმომადგენელის აზრით რჩევა უნდა გათვალისწინებულიყო. დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტების შეხედულებებს და არ ჰქონდა მათგან განსხვავებული პოზიცია.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ორ განსხვავებულ მიმართულებაზე ერთი და იგივე საგნები შესაძლოა გამხდარიყო ხელის შემშლელი ფაქტორი შედეგზე გასვლაში, რადგან მაგალითად ლოჯისტიკის მიმართულებაში შესაძლოა აქცენტი ყოფილიყო ლოკალურ, რეგიონულ ლოჯისტიკაზე. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო კომპონენტის სწავლება შესაძლებელი იყო არარელევანტურიც კი გამხდარიყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის რთული იყო შინაარსობრივ საკითხებზე საუბარი, რადგან არ იყო დარგის სპეციალისტი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა ნახსენები ორი მიმართულება ურთიერთ ჩანაცვლებადი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული მთლიანად დამოკიდებული იყო იმაზე თუ რა კონტექსტში ხდებოდა განხილვა, გლობალური თუ ლოკალური ლოჯისტიკის მიმართულებით.

ექსპერტმა განაცხადა რომ განსხვავება იყო 50 კრედიტში. სფეროები არ წარმოადგენდა ერთმანეთისაგან რადიკალურად მოწყვეტილს, თუმცა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული რა პრიზმით მიუდგებოდნენ საკითხს.

საბჭოს წევრმა, დიმიტრო ჯაფარიძემ დააზუსტა, რომ რეალურად სპეციალიზაციის მინიჭება პროგრამაზე ხდებოდა 4 საგნის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნებს ემატებოდა სამაგისტრო ნაშრომიც.

საბჭოს წევრმა, დიმიტრო ჯაფარიძემ უპასუხა, რომ სამაგისტრო ნაშრომი უკვე მიღებული ცოდნის გამოყენების კონტექსტში უნდა განხილულიყო და არა როგორც ცოდნის მიცემის პროცესში.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა რა იყო არსობრივი სხვაობა კომერციულ და კორპორაციულ ლოჯისტიკას შორის.

წარმომადგენელს ამასთან დაკავშირებით პასუხი არ ჰქონდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული კითხვა თავადაც გაუჩნდა და როცა ლიტერატურას გაეცნო აღმოჩნდა რომ მოცემული საგნები ერთმანეთისაგან გასხვავდებოდა.

საბჭოს წევრმა დიმიტრო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ საგნების სიმცირე ლოჯისტიკის მიმართულებით პროგრამისათვის შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როდესაც დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხეს თუ რატომ გადაწყვიტეს საგნების შერჩევა არსებული მოცემულობით, მათ აჩვენეს უცხოური ანალოგები, ძირითადად რუმინული და ბულგარული.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა აქცენტის გაკეთება სფეროში უფრო გამოცდილი სახელმწიფოების მაგალითზე. ბრიტანეთის ან ჰოლანდიის ანალოგებზე. ის ასევე დაინტერესდა ჰყავდა თუ არა პროგრამას სტუდენტები, რომლებიც ფლობდნენ გრანტს. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით 5 იყო.

კითხვების ამოწურვის შემდეგ 16:37 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:12 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ლოჯისტიკისა და ექსპედიციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ლოჯისტიკა და ექსპედიციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული ხარვეზები, რეკომენდაციები იყო არსებითი ხასიათის, რომელთა გამოსწორების გარეშეც პროგრამა შედეგებზე ვერ გავიდოდა. შესაბამისად, ამით იყო გამოწვეული საბჭოს მხრიდან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზღვაო ინჟინერიის მაგისტრი 0419
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ირგვლივ არსებობდა 3 რეკომენდაცია. ექსპერტთა შეჯერებული აზრის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაცია, რომ საჭირო იყო დაზუსტებულიყო და გაწერილიყო ისეთი სასწავლო კურსების კომპეტენციები, როგორც იყო "სიცოცხლისა და გარემოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა" და სხვა და რომლებიც უშუალოდ ეხებოდა ღირებულებითი კომპეტენციის შექმნას. საჭიროებას წარმოადგენდა ცალკეულ სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა. სასურველი იყო სასწავლო კურსების ნაწილში გამდიდრებულიყო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი. საჭირო მინიმალური ლიტერატურის რესურსის არსებობა დასტურდებოდა ექსპერტთა მიერ ვიზიტის პირობებში ბიბლიოთეკის შემოწმებისას, თუმცა სამაგისტრო საფეხურის პროგრამა საჭიროებდა მეტად მდიდარ ლიტერატურულ რესურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებას პრეტენზიები არ გააჩნდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა, რომ აღნიშნული პროგრამა წარმოადგენდა ახალ პროგრამას, რომელიც შეიქმნა უკვე გაუქმებული ორი სამაგისტრო პროგრამის ბაზაზე და მიზნად ისახავდა მექანიკოსისა და ელექტრო მექანიკოსის

პროფესიების შერწყმას. პროგრამა იყო მოქნილი და იძლეოდა კვალიფიკაციათა ლავირების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ტერმინები ელექტრო ინჟინერი და ელექტრო მექანიკოსი ურთიერთჩანაცვლებადი.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ეს ორი ტერმინი იყო ურთიერთჩანაცვლებადი. პროგრამა განსაზღვრული იყო სტუდენტებისათვის, ვისაც საბაკალავრო საფეხურზე უკვე შეძენილი ჰქონდათ უსაფრთხოების სამუშაოების ცოდნა. ამასთანავე, თუ სტუდენტებს უკვე ექნებოდათ სამუშაო გამოცდილება გემზე, სავარაუდო იყო რომ მათ ასევე ექნებოდათ დამატებითი სერტიფიკატებიც.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ რეკომენდაციაში საუბარი იყო არა იმაზე, რომ სტუდენტებს არ ექნებოდათ უსაფრთხოების სამუშაოების ცოდნა, არამედ იმაზე, რომ საჭირო იყო გაწერა იმ ღირებულებებისა, რომელთა მატარებლების სტუდენტები გახდებოდნენ ცოდნის გაღრმავების შედეგად.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რატომ გაუქმდა ორი პროგრამა, რომელთა ბაზაზეც მოხდა აღნიშნული, ახალი პროგრამის ჩამოყალიბება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა ორი პროგრამის ვადის გასვლის შემდეგ, კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა თუ შეიქმნებოდა ახალი, ინტეგრირებული პროგრამა, ნაცვლად იმისა რომ ძველი პროგრამები აღდგენილიყო. ძველი პროგრამების სტუდენტები მობილობით გადავიდოდნენ ახალ პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რატომ იყო მექანიკოსის პროფესია უფრო მოთხოვნადი, ვიდრე ელექტრომექანიკოსის, რადგან თანამედროვე პირობებში მექანიკური სისტემების დიაგნოსტიკა ძირითადად ელექტრული მეთოდებით წარმოებდა.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნა იყო კადრებზე, რომლებიც მექანიკოსის ცოდნასთან ერთად ელექტრო მექანიკოსის უნარებით იქნებოდნენ აღჭურვილნი.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რატომ იყო ელექტრომექანიკოსის სპეციალობის დასაუფლებლად საჭირო სამაგისტრო საფეხურზე სწავლა, მაშინ როდესაც დასაქმებისთვის მარტივი გადამზადების კურსიც საკმარისი იქნებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოება ნაწილობრივ ნაკარნახევი იყო აკადემიის საჭიროებით აღეზარდათ ახალი პედაგოგიური კადრები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა ემსახურებოდა საზღვაო მოსამსახურეთა პენსიაზე გასვლის შემდეგ მათ ხმელეთზე დასაქმებას. პროგრამა ითვალისწინებდა პედაგოგიურ კომპონენტსაც, რათა შემდგომში კურსდამთავრებულებს შეძლებოდათ დარგის სწავლება.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, სად იგეგმებოდა სამომავლოდ კურსდამთავრებულების დასაქმება.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კურსდამთავრებულები აქტიურად საქმდებოდნენ საერთაშორისო დონეზე და ხშირი იყო კადრების მოთხოვნის ფაქტებიც სხვადასხვა ხანგრძლივობის კონტრაქტების პირობებში.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა რა განსხვავება არსებობდა ანალოგიური სპეციალობის ბაკალავრსა და მაგისტრს შორის და რა უპირატესობით ისარგებლებდნენ მაგისტრატურის კურსდამთავრებული კადრები.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განსხვავება გამოხატული იქნებოდა ცოდნის დონეში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მისთვის ნაცნობი იყო საბაკალავრო პროგრამაც, სამაგისტრო პროგრამა საბაკალავროსაგან განსხვავდებოდა სიღრმითა და მეტი აქცენტირებით საზღვაო საქმეზე. ბაკალავრი ვერ შეძლებდა ცოდნის საფუძველზე იგივე გადაწყვეტილებების მიღებას, რასაც მაგისტრანტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემებისა და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემებისა და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საპორტო ოპერაციების მართვის სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საპორტო ოპერაციების მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზღვაო ოპერაციების მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	111001
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მოცემულ პროგრამაზე რეკომენდაციების ნაწილში, ორი რეკომენდაცია მეორედებოდა და ემთხვეოდა გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციებს. მოცემულ პროგრამაზე კომპეტენციების გაწერასთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ არსებობდა, სილაბუსებისა და ლიტერატურის პრობლემა კი მეორედებოდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა პროგრამა ახალი.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში პროგრამა გადიოდა რეაკრედიტაციის პროცესს. მოხდა პროგრამის გადამუშავება, დაზუსტდა კვალიფიკაცია, მოხდა ბათუმის რეალობის გათვალისწინება და ამასთანავე ხმელეთზე მეზღვაურთა საჭიროებების.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდა პროგრამას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ირიცხებოდა 59 სტუდენტი. სტუდენტები იყვნენ ძირითადად მეზღვაურები და ხშირად ხდებოდა მათი მხრიდან სტატუსის შეჩერება და ზღვიდან დაბრუნების შემდეგ მისი აღდგენა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ პორტების საჭიროებიდან გამომდინარე პროფესია გამოსადეგი იყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არსებობდა მოთხოვნა ანაკლიის პორტის ადმინისტრაციიდან კვალიფიციური კადრების მოთხოვნით. აღნიშნულის შემდგომ დაწყებული იქნა კადრების დამატებითი გადამზადების პროცესიც.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, აუცილებელი იყო თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ყოფილი მეზღვაურობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავი მოთხოვნა არ არსებობდა, თუმცა ტენდენციის მიხედვით პროგრამაზე სწავლის სურვილს ძირითადად ყოფილი მეზღვაურები გამოთქვამდნენ. სტუდენტთა შორის იყო რანგით კაპიტანიც.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა სტუდენტთა საშუალო ასაკითა და სწავლის გადასახადის ოდენობით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საშუალო ასაკი იყო 30-45 წელი. რაც შეეხებოდა სწავლის გადასახადს, მისი ოდენობა შეადგენდა 2250 ლარს.

17:56 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საპორტო ოპერაციების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრა შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0


გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საპორტო ოპერაციების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

18:07 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული



სხდომის მდივანი

ლევან გორდეზიანი

